№ 150
ოთხშაბათი, 15 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 150
ოთხშაბათი, 15 ივლისი, 1898 წ.

ბიბლიოთეკა

ფასი ფულისა:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„აღმოსავლეთის მაღაზია“
იოსებ მერკვილაძისა

(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, № 4. სემინარიის პირდაპირ)

ახლად მივიღეთ **იაპონიის საუცხოოდ დამზადებული** მრავალი **საძონილი** და ნამდვილი **ჩინეთის ფანჯა** და **ჩესუნჩა** და სხვა აბრეშუმეული. აქვე ისყიდება **ჩვენებური დარაიები, შალები** და სხვა ნაწარმოები.

მაღაზიას აქვს **ძართული** (იმერული) **ტანისამოსის** სამაგალითო **სამკერვალო.** (10—88—10)

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანახმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც-კი შეიძლება, ფასი დაეკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება. ქ. ტფილისში, ლორის მელიქოვის ქუჩაზედ. ქალაქ-გარეზე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფასქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე. . . . . 1—	„
თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფასქსიმილეთი	„—50
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-შოემა ბაჩანასი	„—10
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ჭსკედანიმი) . .	„—20
თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფასქსიმილეთი I ტომი	„—70
იგივე II ტომი.	„—60
იგივე III ტომი	„—60
იგივე IV ტომი (ორ წიგნათ)	„—80
სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა.	„—10
თხზულებანი აკაკისა I ტ.	„—60
„ „ იგივე II ტ.	„—60
თხზ. რ. ერისთავისა I ტ.	„—60
არაკები საბა ორბელიანისა, ბავშვებისათვის	„—25
სიბრძნე-სიცრუე მისივე . .	„—40
საქართველო და მისი წარსული დრო პოტტოსი . . .	„—20
ალექსანდრ ალტერ სკოტისა	„—50
ალა-მაჭმად-ხანის შემოსევა ტფილისში	„—15
გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით	„—15
სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა . .	1—20
ლვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . .	1—50
ბალავარი	„—30
ცეცხლითა და მახვილითა . .	„—80
დასტურ-ლამა	„—10

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობათ 14 მანეთათ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ფასთან ფოსტის ხარჯსაც გამოგზავნიან ერთს მანეთს.

ამ ფასებად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსულის წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—7 მანეთად და 1896 და 1897 წ. წ.—5 მანეთად. მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე“-ზედ ფოსტის ხარჯად 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (10—6—6)

ეპისრულოგ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

პლანების აღებას და ნიველირებას.

ალექსანდრე ბრესლერისა ან ნიქოლოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

ტელეფონი № 567.

(50—80—47).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. **ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ **ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ს. ი. **რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. **ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. **პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ს. ბ. **კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. ბ. **ბურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ვ. მ. **მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ს. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ს. ნ. **შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპია), ვენერიულ და კანის **სნეულებას.**

ტ. ი. **რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

ახალი ამბავი

*** ტფილისში ცნობები მოვიდა, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი კისლოვოდსკიდგან გამოვა 17 ივლისს და პირდაპირ ტფილისისაკენ წამოვა.

*** დღეს, 15 ივლისს კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე ტფილისში ჩამოვა და სალამოზედ ისევ კოჯორს დაბრუნდება.

*** ამ ჟამად მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ეკონომიკის [illegible] ტროს სატყეო დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ნიკიტინი ათვალიერებს თელავის მაზრის სახელმწიფო ტყეებს და იმასთანვე არიან ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგე ბ-ნი ბეკი, რევიზორი ბაქრაძე და კობიაშვილი.

*** მკითხველებს მოეხსენებათ, რომ წარსულის წლის 8 აგვისტოს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებიდგან დაიკარგა 50,000 მან. და ამ საქმის გამო ამ ოთხის თვის წინად დაპატიმრებულ იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ნიკოლოზ ორჯონიკიძე. რაკი გამორკვეულ იქმნა, რომ შეცვლილ პაკეტის წარწერა ნიკოლოზ ორჯონიკიძის ხელს არა ჰგავსო, ამიტომ გამომძიებელმა ბ-ნმა დანილოვმა ეჭვი მიიტანა ნიკოლოზის ბიძაშვილზედ, გედეონ ორჯონიკიძეზედ, რომელიც უკანასკნელს წელს მალ-მალ ჩამოდიოდა თავისს ბიძაშვილთან გორის მაზრის სოფ. ტეზერიდგან. იმის გამორკვევა, რომ პაკეტის წარწერა გ. ო—ძეს ხელსა ჰგავს თუ არა, მიენდო მე III გიმნაზიის ხატვა-ხაზვის მასწავლებელს ა. ი. შამშინოვს და ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივანს ოვსიანნიკოვს. ბანკის ბეჭედი, რომელიც პაკეტსა აქვს დაკრული, ყალბ ბეჭედად იქმნა ცნობილი. ამის გამო შაბათს, 11 ივლისს, გამომძიებელის განკარგულებისამებრ დაპატიმრებულ იქმნა გედეონ ორჯონიკიძე მეტეხის საპატიმროში.

*** ქალაქის გამგეობამ 10 ივლისის კრებაზედ დაადგინა დაევალოთ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მოხელეთ, რომ მუდამ დღე ანგარიში გარდასახადთა მოკრებისა წარუდგინონ და ფული ჩააბარონ ხოლმე სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს აგენტს, რომელიც მოვალე იქმნება, მეორე დღესვე წარუდგინოს გამგეობას ანგარიში და ფული.

*** აწ გარდაცვალებულის კერძო ვექილის პლიუშჩევსკის საქმე, რომელსაც თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი ბრალსა სდებდა, რომ მის მიერ წარმოდგენილი მამიჩემის ვალდებულების ქაღალდი ყალბიაო, არ გაუქმებულა და ისევე წარმოებაშია. ამ დღეებში შეადარებენ ექსპერტები ვალდებულების ქაღალდის ხელმოწერას თავ. ი. კ. მუხრან-ბატონის სხვა ხელ-ნაწერებს.

*** ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა ქალაქის გამგეობას გაჰსწმინდოს ქუჩები იმ ქვისა და ქვიშისაგან, რომელიც ამას წინად ნიაღვრებმა ჩამოიტანეს და რომელიც დღემდის ქუჩებშია შექუჩებული.

*** როგორც ისმის, დღეიდგან ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა, ტფილისის ბავშვთა სამზრუნველო [illegible] ბა გაჰმართავს იუნკერთა სასწავლებლის [illegible] თვის საგიმნასტიკო სათამაშოებს. თამაშობა სალამოს 5 საათზედ დაიწყება და გასტანს მზის ჩასვლამდე.

*** 13 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოს გამომძიებელს დანილოვს მოუვიდა სადგურ სკრიდგან დეპეშა: „გუშინ, 12 ს ივლისს სალამოს 7-ს საათსა და 40 წამს, ჩვენს სადგურს დაეცა სოფელ სკრის მცხოვრები თავადი შალიკაშვილი. თან მოჰყვა კიდევ ერთი ვიღაც უცნობი. ორივენი შეიარაღებულები იყვნენ. შალიკაშვილმა დასჭრა ხანჯლით ჩვენი სადგურის ჟანდარმი ხოვსუნი. გთხოვთ დახმარება აღმოგვიჩინოთ, კიდევ მალე მოველით თავს დაცემას. სადგურის უფროსი ზახარინი.“ ორივე დააპატიმრა პოლიციამ და 14 ივლისს დილით ჩამოიყვანეს ტფილისში.

*** 9 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლომ დაადგინა განთავისუფლებულ იქმნას დაპატიმრებისაგან სამსახურს გარეშე მყოფი პორუჩიკი მიხეილ მეფისაშვილი, რომელსაც ჰბრალდება ის, რომ კაცებს აქეზებდა თავისის ძმის ივანე მეფისაშვილის მოსაკლავად. ეხლა სასამართლოს ბრალმდებელმა ამ დადგენილების გამო ტფილისის ოლქის სასამართლოში კერძო საჩივარი შეიტანა.

*** ნავთლუხის საფოსტო განყოფილებაში ამ ახლო ხანში კვლავ მიიღებენ დეპეშებს გასაგზავნად.

*** კავკასიის საბრეშუმო სადგურმა მიიღო გასასყიდად საზღვარგარეთიდგან თვალ-მადიდები (მიკროსკოპები) აბრეშუმის თესლის გამოსაკვლევად. თითო თვალ-მადიდი ღირს 35 მან. და 50 კაპ.

*** რადგანაც ხვალიდგან სახლის პატრონები თვით უნდა შეუდგნენ ქუჩების დაწმენდა-დასუფთავების საქმეს, დღეს, 15 ივლისს, ქალაქის გამგეობა დაითხოვს იმ მუშებს, რომელნიც აქამდის ქუჩების დამგველებადა ჰყავდა.

*** თითქმის მთელი დიდუბე შესდგება ხელოსან მცხოვრებლებისაგან. უმეტესი ნაწილი ამ ხელოსნებისა უცოლ-შვილოა. მთელის დიდუბის და განსაკუთრებით ამ ხელოსნების დღევანდელ ჭირ-ვარამს უწყლობა შეადგენს. საქმე ის არის, რომ დიდუბეს მხოლოდ ერთი წყლის მილი, ან, უკეთ ვთქვათ, ერთი კრანი აქვს. როდესაც ხელოსნები სამუშაოდ მიდიან, წყლის მეონკანეც სწორედ მაშინ აღებს მილს და ამ დროს, რა თქმა უნდა, ხელოსნებს წყლის მიღება არ შეუძლიანთ. შუადღეზედ ხელოსნებს მხოლოდ საათ ნახევარი აქვთ თავისუფლება და ამ დროსაც მეონკანე სასადილოდ მიდის. ამ რიგად მხოლოდ სალამოზედ რჩება ნახევარი საათი, რომლის განმავლობაში [illegible] ოიდუბე უნდა დაკმაყოფილდეს წყლით: ხელოსნები ბელს იღებენ მუშაობაზედ ექვსის ნახევარზედ, მეონკანე-კი ექვს საათზედ ჰკეტავს თავის ფარდულს. ა., ამ ნახევარ საათში მთელი დიდუბე იყრის თავს წყლის მილთან. ადვილად წარმოსადგენია თუ რა ვაი-უშველებელი და ალიაქოთი იქნება იქ მუდამ დღე სალამოს ექვს საათზედ: ჩხუბს, ლანძღა-გინებას და ათას უშვერ სიტყვებს დასასრული არა აქვს. ამას წინად კინაღამ ერთი ყმაწვილი გამოასალმეს წუთი-სოფელს. ასეთ გაჭირვებაში ვართ. ხელოსანმა ან უნდა გააცდინოს სამუშაო დრო და ან არა და უწყლოდ დარჩეს. ნუ-თუ ქალაქის გამგეობა ამას ვერაფერს უწამლებს?!.

*** სოფ. სოჭაში, როგორც „ახ. მიმ“. სწერენ, აზრადა აქვთ ნორმალურ ორ კლასიან სასწავლებლისათვის ახალი შენობა ააგონ.

*** იმავე გაზეთში დაბეჭდილია ტფილისის პოლიცმეისტერის შემდეგი წერილი: „15 ამა ივლისიდგან ძალაში შედის სავალდებულო დადგენილება, შედგენილი ქალაქის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჭის მიერ აღგილობრივის მცხოვრებთათვის, საქალაქო დებულების მე-108 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად და გამოცემული ტფილისის გუბერნატორის მიერ იმავე დებულების მე-110 მუხლის ძალით.

„საქალაქო დებულების მე-112 და 113 მუხლ. და აგრეთვე 1892 წელს გამოცემულ კანონთა კრებულის მე II ტომის მე-23 და 681 მუხლის თანახმად, ტფილისის პოლიცმეისტერი იწვევს ბ-ნთ სახლის-პატრონებს და იმათ მოადგილებს, აგრეთვე მოიჯარადრებს და იმათ, ვინც სხვა და-სხვა უწყების სახლებს განაგებს, იზრუნონ რათა სავსებით შესრულებულ იქმნას ის დადგენილებანი, რომლითაც დაეკისრათ სუფთად შენახვა ქუჩებისა, ეზოებისა, ქვა-ფენილების და მოედნებისა რვა საუნის მანძილზედ, თავიანთის მამულის საზღვრიდგან, ამასთან საჭიროდ სთვლის დაუმატოს, რომ ვინც სავალდებულო დადგენილებას არ აღასრულებს, პასუხის-გებაში იქმნება მიცემული მომრიგებელ-მოსამართლეთა მიერ მისასჯელ სასჯელთა წესდების მე-29 მუხლის ძალით.

*** ქ. ქუთაისი. ქალაქის მოურავის არჩევანის წინა დღეს ხმა გავრცელდა, რომ იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ბესარიონისაგან, რომ ლიც ამ ჟამად ტფილისშია, დეპეშა მოვიდა, რომ ეპისკოპოსის კანცელარიის მდივანი ე. ს. თუთბერიძე გადაყენებულ იქმნა სასულიერო უწყების დეპუტატობის თანამდებობიდგან და ამ თანამდებობაზედ დანიშნულ იქმნა დეკ. დ. ღამბაშიძე. ამ ამბავმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია ქუთაისში. რამდენადაც ვიცით, თუთბერიძემ მონაწილეობა არ მიიღო საარჩევანო ბრძოლაში, რათა დას-დასობაში არ ჩარეულიყო და დამოუკიდებელი ყოფილიყო, თუმცა ერთი დასის წარმომადგენლები სცდილობდნენ თავის მხარეზედ გადაებირათ ბ-ნი თუთბერიძე („ახალ. მიმოხ“.)

*** 12 ივლისს, შუადღის 12 საათზედ, ქალაქის მე-8 ნაწილში გორის მცხოვრებელმა იოსებ მესხიშვილმა სიმთვრალისა გამო ჩხუბი ასტეხა და დანით დასჭრა შორაპნის მაზრის მცხოვრებელი ვლადიმირ ბარბაქაძე, რაჭის მაზრის მცხოვრებელი ივანე გიორგობიანი, სპარსეთის ქვეშევრდომი აზიზ კიზაროვი, გუმბრის მცხოვრებელი ოჰანეზ ნერესიანცი და თელავის მცხოვრებელი აღულა ფატანოვი. მათ შორის პირველი ბარბაქაძე მძიმედ იქმნა დაჭრილი, დანარჩენნი მსუბუქად. ყველანი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. ბარბაქაძე იქ დაავადეს, ხოლო დანარჩენთ ჭრილობა შეუხვიეს და გამოუშვეს. დამნაშავე მესხიშვილი შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

საეკკლესიო სიძველეთ-საცავი

(15 ივლ. 1888 წ.—15 ივლ. 1889 წ.)

დღეს, 15 ივლისს, შესრულდა ათი წლოვანი საეკკლესიო სიძველეთ-საცავის დაარსებიდგან. სიძველეთ-საცავის გუთვნილებას შადგენს 271 ხელნაწერი, რომლთაგან ტუკვზედ ნაწერია 65 წიგნი და მათ შორის საერთოდ არის სულ 16,336 ფურცელი. ეს ტუკვზედ ნაწერი წიგნები ეკუთვნის მე VII—XIII საუკუნეთ, ხოლო ქაღალდზედ ნაწერები—მე-XII—XVIII ს. 60-მდის ხელ-ნაწერი, უკვე ჩვენ მიერ განხილული, თარგმნილია წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ. ადგილი, სადაც ეს ხელნაწერები გადაწერილია, არის ათონი, ოლიზა, კარეკა, გელათი, მცხეთა, ტფილისი, ბანა, შემოქმედი, გრემი და სხ.

სიგელ-გუჯართა რიცხვი არის სულ 933, მათგან 869 ქართულია, 56 სპარსული და 8 ბერძნული. ქართულ სიგელ-გუჯართა შორის არის 24 ტალი ტუკვზედ ნაწერი ფრიად ძველის დროისა.

შესანიშნავ ნივთთა შორის საუფრადღებოა კიდევ რამდენიმე ფული თამარ-შეფისა, ფილონები, ჯვრები, დიანი (რკინის გარდასატმელი მონა ზონთათვის), რკინის ქაღამნები, ეჩმიაძინის ტაძრის ნასწი ანუ ნიმუში და სხ. და სხ.

სიძველეთ-საცავი ღია კვირაობით 11 საათიდგან 1 საათამდის, ხოლო დღეს, ათის წლის შესრულების გამო დაასებიდგან, ღია იქნება 10 საათიდგან.

მ. ჯ.

ხმა ფრონის ხეობიდგან

—

ჩვენი მხარე წელს ბევრნაირ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. თითქმის ყველა აქაურ სოფლებში ჩუმი შიმშილობაა. ეს არის ხალხი მიყუჩებულია, არავინ ეგულებათ გულის შემატკივარი, რომ შესჩივლონ, თორემ მრავალ ოჯახს შემოაკლდა აქ წლის სარჩო. დაბეჩავებულ გლეხ-კაცის ყურადღება ეხლა ახალ მოსავალზეა მიქცეული, იმით ღა იმედოვნებს.

გარდა ამისა აქეთკენ დიდი უსუფთაობაა, შიგ შუა სოფლებში წუმპეები სდგას; საქონლის სადგომი ალაგები და სახლები ერთმანეთშია არეული; მრავალ მეოჯახის კარ მიდამოზედ ნაგვისა და სხვა უსუფთაობის გროვა აყენია. ჩვენებურ სოფლების ამ გვარი მდგომარეობა არ ახალია — ძველია, ამ საგნის შესახებ ჩვენ შარშანაც ვიწერებოდით, მაგრამ აქაურ სოფლების მოხელეთათვის სულ ერთია, ყურსაც არ იბერტყავენ. ასეთი უყურადღებობა და უსუფთაობა ჩვენ ხეობაში ყოველთვის სხვა-და-სხვა ავადმყოფობასა ჰბადავს ხოლმე. შარშან გავრცელებული იყო ყველგან ყვავილი და წითელა. წელს, ღვთით, ჯერ-ჯერობით საღიანობაა, მაგრამ თუ გაჩნდა რამ, თქვენი მტერი იყოს, რომ აქაურებს საქმე დაემართებათ. ჩვენთვის ექიმი არსად არის და ფერშალი. ჩვენებურ გლეხს რომ ავად გაუხდეს ვინმე, ან სულ უნდა გაიყიდოს და ქალაქ ადგილიდგან ექიმი ამოიყვანოს და ან ავადმყოფმა უმწეოდ სული უნდა დალიოს. დაილოცოს ამ მხრივ კახეთი; იქ ყოველ საზოგადოებას, ან კიდევ დიდს სოფელს საავადმყოფო აქვს, ან ფერშალი ჰყავთ. ჩვენშიაც რომ ასე იყოს, კარგი იქმნება, მაგრამ სად არის ..

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ერთი სასიამოვნო ამბავი. ჩვენს ხეობას მრავლადა ჰყავს მოსწავლე ყმაწვილი კაცები. ესენი მუდამ ზაფხულობით ჰმართავენ ხოლმე წარმოდგენებს საქველ-მოქმედო აზრით; გარდა ამისა აწოდებენ პატარა გლეხის შვილებს ქართულ წიგნებს და მით საშუალებას აძლევენ მდაბიო ხალხს, რომ ქართული წერა კითხვა ისწავლონ. წელს პირველად წარმოდგენა 11 ივლისისთვის არის დანიშნული მხოლოდ გომში; შემდეგ აქეთაც გაიმართება. ვიღაც კორესპონდენტი სან-ინი ამბობს „ც.“-ში, რომ ვითომ 5 აპრილს წარმოედგინოთ საღოლაშენში „ძუნწი“ და ვითომ რეცენზიასაც სწერს. მაგრამ რეცენზიის აზრის რული სიმართლე არ არის. „ძუნწი“ შარშან წინ იყო წარმოდგენილი სოფელ ბრეთში და ეხლა მხოლოდ განიმეორეს გასართობად კერძო ოჯახში მოუმზადებლად. ხსენებულ კორესპონდენტს ეს ვერ გაუგია და სრულიად უაზრულოდ გაუჭიმია რეცენზია.

ვლ—ე—ლი

წერილი სამეგრელოდგან

წელს, ჩვენდა სასიხარულოდ, მოსავალს კარგი პირი უჩანს, განსაკუთრებით სიმინდს, რომელიც ყველგან ბლომად დაითესა. დაითესა ბლომად იმიტომ-რომ ერთხან ფასი კარგი (50 კაპ.) ჰქონდა და ცოტა საკმაოდ ფულიც დაატრიალა ჩვენში. ფულების დატრიალებას დიდად შეუწყო ხელი ყველგან გავრცელებულმა და დიდ გავლენა მოპოვებულმა მეაბრეშუმეობამ. არც ერთი დარგი მეურნეობისა უკანასკნელ ხანებში ისე არ შეჰყვარებია მეგრელებს, როგორც მეაბრეშუმეობა. მეაბრეშუმეობას ჩვენში კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა, ყველანი, წოდებისა განურჩევლად, გულ-დადებით, სიყვარულით ეკიდებიან. მართლადაც, მეაბრეშუმეობა სამეგრელოს დიდს სარგებლობას აძლევს, აღტაცებაში მოჰყავს იგი და მრავალნაირ ცხოვრების მოთხოვნილებას უსტუმრებს.

აგრეთვე დიდად სასარგებლოა და სასიამოვნო დ. ზუგდიდში უსასყიდლო სახალხო სამკითხველოს დაარსება. დიდი ხნის გულითადი ნატვრა აგვისრულდა — სამკითხველო გვაქვს, სამკითხველო დაარსდა! — ყველა ჩვენ-ნთაგანი, ვისაც სამშობლოს

-კარგიანობისათვის ცოტად მაინც გული უძგერს, სიამოვნებით უნდა მიეგებოს სამკითხველოს დაარსებას და-სცდილობდეს იმისს ხელის შეწყობას, მისს გაღონიერება-გაძლიერებას, რათა მან შესაფერი ცხოველმყოფელი ნაყოფი მოიტანოს. მთელს ზუგდიდის ვრცელს მაზრაში, რომელიც თითქმის ოდიშის ნახევარ ნაწილზედ მეტს შეადგენს, საკვირველად მდიდარის, ტურფა ბუნებით არის შემკული, ერთი რიგიანი წიგნთ-საკავ-სამკითხველოს უქონლობა ნუ თუ ამდენს ხანს მოსათმენი იყო? ზუგდიდში სამკითხველო დაარსდა წარსულს მაისს, დიდება და პატივისცემა იმ ახალგაზდათ ქალთა თუ ვაჟთა, რომელთა მეცადინეობით გვეღირსა სამკითხველო.

სულ სხვა გვარად იქცევა ჩვენი ახალგაზდობა. ზოგიერთმა ახალგაზდებმა შეიგნეს სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობა და შეძლებისამებრ ჰშრომობენ, ჰმეცადინეობენ. ხშირად ჰმართავენ ქართულ წარმოდგენებს. წარმოდგენიდგან შემოსული ფული ზოგი ზუგდიდში ახლად დაარსებულს სამრევლო სკოლას მოახმარეს, ზოგით სამკითხველოსათვის მრავალი ქართულ-რუსული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები დაიბარეს, აგრეთვე თეატრის დარბაზის შეძენასაც სცდილობენ.

ზუგდიდის სამკითხველოს სულით და გულით ვუსურვებთ აღორძინებას და ჭეშმარიტის ნაყოფის მოტანას. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ინტელიგენცია და განსაკუთრებით სასულიერო წოდება დიდს დახმარებას აღმოუჩენენ, აგრეთვე „წერა-კითხვის საზოგადოებისაგანაც“ ბევრს შემწეობას მოველით!

მიხეილ კაკულია

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ლეხოური, (ოზურგეთის მაზრა). საკვირველი და საბრალო სოფელია ეს ჩვენი ლეხოური! უხვს და ბელ... ...

ვინ გაჰბედავს ამისთანა დარში გარეთ ცხვირის გამოყოფას? ვინ გასწირავს თავს ამ გაანჩხლებულ ბუნებასთან საბრძოლველად? ვერავინ...

მაგრამ აგერ, რამდენიმე კაცი მაინც გამოჩნდა ვიწრო, ღრმა, თოვლით დაფენილ გზაზედ. ყველაზედ წინ მოჩოჩავს თავ-პირ შეხვეული, შავით-მოსილი მღვდელი, რომელსაც ხელში ქრისტეს ჯვარი უჭირავს. მღვდელს აქეთ-იქით ორი მეგბირაღე და დიაკვანი აჰყუდებიან. მწუხარე ხმით გაიძახის დიაკვანი „წმიდაო ღმერთოს“. იმის ხმას სიცივისაგან ძალზედ კანკალი გააქვს. ხანდისხან ქარი შუაზედ აწყვეტინებს დიაკვანს უკვე დაწყებულს საგალობელს. ოთხს ადამიანს დიდის გაჭირვებით ეოაქვს უბრალოდ მორთული კუბო. კუბოს მოსდევენ თერთმეტ-თორმეტის წლის ყმაწვილი და შუახნის კაცი, რომელსაც ხელში პატარა ბავშვი უჭირავს.

თავ-ჩაღუნული, ფერ-მიხდილი მამა ბავშვებისა, მიცვალებულის ქმარი, ვერაფერს ვერა ჰხედავს, ვერაფერსა ჰგრძნობს. ვერა ჰხედავს თეთრად შემოსილს არე-მარეს, ვერა ჰგრძნობს საშინელს სიცივეს, იმისი ფიქრები შორს, შორს არის... ამ ფიქრებმა გაიტაცეს, დაუბრუნეს იმ მშვენიერ, მომხიბლავ დროს, როდესაც იმისს ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა: მოაგონდა პირველი შეხვედრა დარიკოსთან, რომელიც ეხლა ცივ გვამს წარმოადგენს; პირველი გაცნობა, იმისი გონიერი თვალები, ნაზი, ტკბილი ხმა...

ნუ თუ როდისმე წარმოიდგენდა, რომ ეს მშვენიერი თვალები საუკუნოდ დაიხუჭებოდა? ეს ნაზი და ტკბილი ხმა საუკუნოდ დადუმდებოდა? დარიკო ხომ მარჯვენა ხელი იყო იმისი, ის ხომ ხორც შესხმული ანგელოზი იყო: გულუბრყვილო, ჭკუა-მახვილი, კეთილი. რა უნდა ჰქმნას ახლა? რაღად ვარგა უდარიკოდ იმისი ცხოვრება?

უწინ, როდესაც დარიკო ცოცხალი იყო, ჰშრომობდა, ოფლში იწურებოდა, მოსვენება არა ჰქონდა; იმას დარიკოს სიტყვა ამხნევებდა, მისი შეხედვა სიცოცხლის შუქსა ჰფენდა.

„ვაი ჩემს თავს!“ წამოიძახა საწყალმა და ოცნებიდგან გამოფხიზლდა. ამ დროს ქარმა დაუბერა და ცხვირ-პირში თოვლი მიაყარა. საბრალომ სიცივე იგრძნო და გაიგონა ქარის ზუზუნი და დიაკვანის გულისგამგმირავი გალობა; მიიხედ-მოიხედა და დაინახა თეთრად შემოსილი, დაღვრემილი არე-მარე. მწარედ ამოიხვნეშა და ცრემლები ვეღარ შეიკავა: ნაკადულსავით ლაპა-ლუპით ეცემოდნენ იმისს ამ სამს დღეში გაჭაღარებულ წვერს. შეჰხედა პატარა ბავშვმა მამის ცრემლებს და დაღონდა. პატარას არასოდეს არ ენახა მამა მტირალი და ძალიან უკვირდა: „რა დაემართა, რომ ამ სამს დღეში განუწყვეტლივ სტირისო?!“ ჰფიქრობდა საბრალო.

— რადა სტირი მამა? ჰკითხა პატარამ და ნაღვლიანის თვალებით შეჰხედა.

— ბედნიერია! გაიფიქრა მამამ: არ სცის რა საუნჯე დაჰკარგა საუკუნოდ და უფრო მაგრად მიიკრა გულზედ პატარა ბავშვი.

— სად, ან რად მივყევარ მამას ამ საშინელს სიცივეში? უკვირდა პატარა ბავშვს.

— სად არის სანდრო? იკითხა მამამ და მოიხედა უკან უფროსის შვილისაკენ. იგი ფეხ-და-ფეხ მისდევდა მამას. საწყალი სანდრო! ისიც მოგონებას მისცემოდა. იმასაც წინ დედის სახე უდგა, ძვირფასის დედისა!..

ერთხელ სანდრო, მაშინ 5 წლის იქნებოდა, ერთს სურათებიანს წიგნს ათვალიერებდა; გვერდით დედა ედგა და ყურს უგდებდა იმის ბავშვურ უმანკო ტიკტიკს. სხვათა შორის სანდროს წმიდა ნინოს სურათიც შეხვდა, მშვენიერი რამ იყო ეს სურათი! ქართველთ განმანათლებელი მწვანით მოსილს მინდორზე იდგა, თვალები და ხელები ზევით აღეპყრო: წრფელს ლოცვას სწირავდა დედა-ღვთისას მის წილ-ხვდომილ საქართველოს სადღეგრძელოდ. შორი-ახლოს ლამაზი ეკკლესია იყო დახატული, საითკენაც მრავალი ხალხი მიეშურებოდა სალოცავად. მშვენიერმა სურათმა პატარა სანდროს ყურადღება ძლიელ მიიპყრო. მიუბრუნდა დედას და ჰკითხა: „დედა! რა არის ეს?“. დედამ აუხსნა, რაც ეხატა სურათზედ და მოკლედ უამბო ნინოს სათნოებით სავსე ცხოვრების ამბავი. სანდროს მოეწონა წმ. ნინოს თავ-გარდასავალი და მოუნდა შეეტყო, სად იმყოფებოდა ეხლა

უბედური

სამწუხარო სურათი

თებერვლის სუსხიანი დილაა, სასტიკი ცივი ქარი განუწყვეტლივ უბერავს და აქეთ-იქით აბნევს ნაცრის ფერ ღრუბლებს, რომელნიც უხვად მოჰფენია ცის სივრცეს. ფართო თოვლის ფანტელები სქლად მოცურავს ზევიდგან და ქარი თავისს ნებაზედ ათამაშებს. მიუახლოვდებიან თუ არა ეს თოვლის ფანტელები გათეთრებულ დედამიწას, ქარი ერთბაშად წამოუბერავს, აიტაცებს მაღლა, შემოატრიალებს რამდენჯერმე ჰაერში და თავს მიანებებს. ისინიც ზანტად სცვივიან და ნაზად უერთდებიან დედამიწის თეთრ ზეწარს. ხან ქარი ისე მძლავრად უბერავს, რომ რამდენიმე ადგილას ერთად აიტაცებს თოვლს, შეუერთებს ზევიდგან მომავალს და ამ დაგორებულს თოვლის სვეტს დიდხანს ატრიალებს ჰაერში.

გარეთ ერთი სულდგმულის ჭაჭანებაც არ არის. ქარის ზუილ ღმუილი რაღაც საზარელს ხასიათს აძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოდ მდიდარს გურიის ბუნებას ეს სოფელი მეტად შეუკაზმ-შეუღამაზებია, მაგრამ კაი რომ ამ ბუნების ძალ-შემოქმედთან ერთათ კერ შეთანხმდა და შეთვისდა ადამიანის მკლავ-ღონე! დღესაც დაკვირვებით ისეთ წინააღმდეგობას ჭნახავთ, ისეთ უნაყოფო, უსარგებლო და გულ-აკარდნილ შრომა-ბრძოლას შეამჩნევთ აქაურ მცხოვრებლების ადამიწის სიუხვესთან, რომ უოველ კეთილშობილ და პატიოსან კაცს გული აუტოკდება და ცრემლებს ვერ დაიკერს ასეთ უვიცობის ძალ-ბატონობის ქვეშე მყოფ ადამიანთა სიბრალულის გამო.

რასა ჭკაკს ჩვენი დღესასწაულები? ძველი ღმენა-თაძაში დღეს კინკლაობათ გარდაგვქცევია აქაურ უსაქმო და ცხოვრებაში გზა-გამოურკვეველ ემაწვილთა წუალობით. მაგალითი ტუდის საქციელისა და უმაყოფილებისა არა მარტო ერთხელ ეოფილა შუა-გულს სოფელში „ჯვარზედ“, *) დუქნების წინ. უმაყოფილებას მოსდევს მოძმრეობა და განზედ გადგომა. დაიწყებენ თავ-გამოდებას: „არა, ჩვენი გვარი სჯობია, ისტორიის გვარიაო!“-„არა, ჩვენ მკვიდრნი მცხოვრებელნი ვართ ღუნოურში, თქვენ „ციზნები“ ხართო“!.. და კაი იმ უბედურს წეკრს რომელისამე გვარისას, თუ მეორე გვარის წეკრებმა სადმე მარტო ჭნახეს და ხელში მოიგდეს: შეიქნება ერთი ბაქსი ბუქსიაობა და ზურგის თელვა, ერთი ტარიელობს და მეორე ავთანდილობს, რასაკვირველია, იმ მცირედის გასასვაკებით „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირებთან, რომ ვერც ერთს კეთილსა და ბეჯითს ლირსებას დიოგენის სანთლითაც ვერ იპოვნით ამ გმირთა შორის, იმის გარდა, რომ კარგად იციან ეშხით ჩაქრობა-ჩაჩოქრობა ეობა ეოპწია ქალებისაკენ. ქალებიც, რადა თქმა უნდა, ამათ არაფერში არ ჩამორჩებიან. იშვიათად ჭნახავთ აქაურს დედაკაცს, რომ შინ სატკივარს არ იმიზეზებდეს ოჯახის საქმის თავიდგან ასაცილებლად, მაგრამ რაგორ გამოიცვლება ხოლმე იგიკე ავადმყოფი, თუ მოჭკრა უერი, სადმე ტირილი, ან ქორწილი არისო, ტანში სიამოვნების ურუანტელი უვლის, ჯანზედაც კარგადაა, მოიართვება და მზად არის მთელი კვირა ეტორიკანოს.

რაგინდა ვარ

—

ს. ქარდანეხი, (სიღნაღის მაზრა), 2 ივლისი. თქმა ადარ უნდა, რომ ჩვენ სოფლებში ასე ოუ ისე სულიერად ხალხმა წინ წაიწია. ბეკრს ჩვეულებას თავისს ეოფა-მდგომარეობაში მხარი აუქცია და ახალ ცხოვრების ათას ნაირ ზიარობასა და მოთხოვნილებას ქედ-დასრით დაემორჩილა. აქა-იქა რაგორც გლესებში, ისეც თავადობაში ადმოჩდნენ ზოგიერთნი ისეთნი, რომელთაც ცხადად შეიგნეს აწინდელის ცხოვრების მოთხოვნილებანი და ტკბილად მიიჩნიეს ხალხის გულის ტკბილი და ახალ ჭანგზედ მომართული ძარღვის ცემა.

ქარდანეხშიაც აქამდის თუ გული არავის შესტკეოდა ხალხისთვის, ესლა ზოგიერთებს აზრად აქვთ ერთმანეთში თანაგრძნობით ურთი-ერთობის განმტკიცებათ უწინამძღვრონ ხალხს, კეთილს რამ საქმეს მოსჭიდონ ხელი და ამითი დაკმაყოფილონ ხალხის მოთხოვნილებანი. აი, ეს რამდენიმე თვეა, რაც აქ ახალსა წიგნთ-საცავი და სამკითხველო დაარსდა კერძო შეწირულებით. დროებით წიგნთ-საცავი მოთავსებულია ქ. ლ. კაჩნაძის სახლში და შემდეგ ცალკე ხალხის აგებასაც უპირებენ. ეს პირველი მოსაწონი საერთო საქმეა, რადგანაც მისის შემწეობით შეიძლება გავრცელდეს ხალხში შესაფერი სწავლა-ცოდნა. წიგნთ-საცავი შესდგა საუკეთოდ ნაყიდ წიგნებისაგან და ზოგი წიგნები კიდე აქეთ-იქიდგან შემოსწირეს. წიგნთ-საცავს რუსული და ქართული ეურნალ გაზეთებიცა აქვს დაგეთიდი. ამას გარდა, ეხლა სხვა ფიქრი და აზრიცა ტრიალებს აქ: საზოგადოება ელოდა 29 ივნისს ბ-ნს მაჩხანელს. უნდა მომხდარიეო კრება, მოელაპარაკნენ დეპოს განეოფილების დაარსების შესახებ. საკვირველ ცნობილია დაარსდეს ეს განეოფილება ს. ქარდანეხში. ზოგიერთნი მეცადინეობას იჩენენ და არაფერს არა ჭზოგავენ ამ საქმისათვის. კრება შემდეგისათვის გადადო. ამ კრებაზედვე აღძრულ იქნება ლაპარაკი ქალების სკოლის შესახებაც. აზრად აქვთ სკოლა იმ პროგრამმით დაარსონ, რომ უმაწვილებს ხელ-საქმესაც ასწავლიდნენ.

დ. ბ.

პატარა შენიშვნა

(ბ-ნ ბოცვაძის წერილის გამო)

„ივერიის“ გუშინდელს ნომერში წავიკითხე ყოვლად სამართლიანი მსჯელობა ბ-ნი ბოცვაძისა შესახებ იმისა, თუ რა ხნის განმავლობაში შეიძლება გათავებულ იყოს სკოლებში ჩემი რუსული სახელმძღვანელო „Русское Слово“, ორივე ნაწილი. ჩვენის კარგად ცნობილის პედაგოგის აზრით, ამ ორივე ნაწილის გათავებას უნდა მოანდომონ სრული სამი წელიწადი, და არა ორი, როგორც ზოგიერთნი ჰფიქრობენ. მართლაც-და ორს წელიწადს ამ წიგნის რიგიანად გათავება ყოვლად-შეუძლებელია არამც თუ სოფლის სკოლებში, არამედ საქალაქოებშიაც. ორივე ნაწილი ამ წიგნისა იპყრობს სამი ათასზედ მეტს ძირეულს რუსულს სიტყვას ყოველგვარი გრამატიკული ცვლილებით, და ამდენის მასალის შეთვისება შესაძლებელია მხოლოდ სამის წლის განმავლობაში. ჩვენ ამ აზრისანი ვიყავით თავდაპირველადვე და ამიტომ დავარქვით პირველს წიგნს არა „პირველი წელიწადი“, არამედ პირველი ნაწილი, მეორე წიგნს—მეორე ნაწილი და არა მეორე წელიწადი. სკოლების გამოცდილებაც ემოწმება ამას, სასკოლო პრაქტიკაც ამართლებს. სადაც-კი საფუძვლიანად ასწავლიდნენ და ასწავლიან „Русское Слово“-ს, ყველგან სამს წელიწადს ანდომებდნენ. მით უმეტეს საჭიროა ეს დრო ახლა, როდესაც მეორე ნაწილი „Русское Слово“-სი შევსებულია ახალის მოთხრობებით და ლექსებით, ოგვ-არაკებით და ზღაპრებით, და გადიდებულია ორი სტამბური თაბახით.

ის მასწავლებელი, რომელიც გაარბენინებს მოსწავლეებს პირველს წელიწადს პირველს ნაწილს „Русское Слово“-სას, მეორე წელიწადს—მეორე ნაწილს და მესამე წელიწადს ხელში მიაჩეჩებს რომელსამე სხვა რუსულს წიგნსა, მხოლოდ ნეკერაობას და სლიკინს ასწავლის, და არა რუსულს ენასა, რადგანაც ამ შემთხვევაში ბავშვებს არ ეცოდინებათ არც ერთი წიგნი.

თვით ბ-ნი ფერაძე, რომლის რეფერატმა გამოიწვია წერილი ბ-ნის ბოცვაძისა, იმ აზრისაა, რომ „Русское Слово“-ს გათავება შეიძლება მხოლოდ მესამე წლის ნახევრამდის და ისიც იმისთანა სკოლებში, რომელნიც სრულიად კეთილ განწყობილნი არიან და სადაც სამოსწავლო წელიწადს ნორმალური სიგრძე აქვს.

იაკობ გოგებაშვილი

რუსეთი

—

საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ იმ ქალთ, რომელთაც დედათა გიმნაზიის ექვსისა და ან შვიდის კლასის კურსის ცოდნის მოწმობა უნდათ აიღონ, შეუძლიანთ ეგზამენი გარდაიხადონ ამ კლასის მოსწავლეებთან ერთად და მოწმობა აიღონ, თუ წლოვანება ხელს შეუშლის სასწავლებელის მოსწავლეებად იქმნენ ჩარიცხულნიო.

— მომავალ 1898—1899 სამოსწავლო წელს საერო სასწავლებელთა დირექციებთან დაარსდება საპედაგოგო მუზეუმები, სადაც მოთავსებული იქმნება ყოველგვარი საუკეთესო სახელმძღვანელოები.

— პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში შესვლის მსურველთ თხოვნები უნდა გაუგზავნონ აკადემიის მთავრობას 15 აგვისტომდის, რადგან 17 აგვისტოს დაიწყება მისაღებ მოსწავლეთა გამოცდა. ეგზამენის გარდახდის უფლება მიეცემა ყოველს სემინარიაში პირველის ხარისხით სწავლა დამთავრებულს და აგრეთვე გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულთ, უნივერსიტეტში პირველის ხარისხის მოწმობით სწავლა დამთავრებული მიღებულ იქმნება უეგზამენოდ, თუ თავისს ხარჯით მოისურვებს შესვლას აკადემიაში.

— განზრახვა აქვთ მომავალ წელს განსაკუთრებული სასწავლებელი დააარსონ საათების კეთების საქმის განსაკარგებლად რუსეთში.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს 36 დაბალი სასოფლო-სამეურნეო და 16 საბაღოსნო სასწავლებელი დააარსოს მომავალ სამოსწავლო წელს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას.

უცხოეთი

—

ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი. „New-vork-Herald“-ის კორესპონდენტს დაპარაკი ჭქონია კუბის გენერალ-გუბერნატორთან, მარშალ ბლანკოსთან. აი, რა უთქვამს მარშალს: „მე კერძოდ წინააღმდეგი კარ ზავისა, მაგრამ ეს საქმე ჩემზედ არ არის დამოკიდებული. ომის განგრძობა ან ზავის დადება შეუძლიან მხოლოდ ესპანიის მთავრობასა და პარლამენტს. ჩემის აზრით შეუძლებელია ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყება იმ დრომდე, კიდრე ის პირობა არ იქმნება დადებული, რომ კუბა ესპანიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდეს. იმ დღიდგან, რაც ეს კუნძული აღმოაჩინეს, იგი ესპანიას ეკუთვნის და დღესაც ეს უფლება არ უნდა გამოეცალოს ხელიდგან. უსამართლოდ და უკანონოდ მიმაჩნია ზავი მოვსთხოვოთ იმ ქვეყანას, რომელმაც, სიკეთის სამაგიეროდ, ასეთ უკიდურეს და უსამართლო საშველებას მიჭმართა. გინდაც რომ ჩვენ განგებ აგვეფეთქებინოს გემი „მენი“, მაშინაც არ შეიძლებოდა ჩვენის მოწინააღმდეგის საქციელის გამართლება. მხოლოდ ძალ-მომრეობით სცდილობენ გამოგვლიჯონ ხელიდგან ის მიწა-წყალი, რომელიც მიელი ოთხასი წელიწადი ჩვენ საკუთრებად ითვლებოდა და ჩვენის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს შადგენდა. ვწუხვარ მხოლოდ იმას, რომ ძალა ადარ შემწევს, ახალ გაზდა ადარა კარ. მთელ ჩემს სიცოცხლესა და ძალ-ღონეს იმ ხალხთან ბრძოლას შეკალკედი, რომელმაც ჩემს საყვარელს სამშობლოს მტარვალობა დასწამა და ყოველგვარი ზარალი მიაყენა“.

— ლონდონიდგან ზოგიერთ გაზეთს დეპეშით ატყობინებენ: „აქ ამბავი მოვიდა, რომ კუბის მეამბოხეთა წინამძღოლი კარსია კარდაეცვალოო. კარდაცვალების მიზეზი არავინ უწყის. ამბობენ მხოლოდ, რომ კარსია დაქარაგებულმა მკვლელებმა გამოასალმეს წუთი-სოფელსაო“.

იგი.

— „სად არის ახლა წმიდა ნინო, დედა?“ ჰკითხა დედას. გარდაიცვალა შვილო, და ახლა ზეცაშია ქრისტესთან.“

ბავშვი გააკვირვა ამ პასუხმა.

— როგორ თუ გარდაიცვალა?“-წამოიძახა სანდრომ.

— ისე შვილო, როგორც ყველა გარდაიცვლება, მოკვდება, ხოლმე როგორც შენი ბებია გარდაიცვალა; აი, როგორც ჩვენ მოვკვდებით, მხოლოდ ის წმიდა იყო და ჩვენ კი არა ვართ წმიდა“. როგორ, დედა, განა შენც მოკვდები? უთხრა სანდრომ და ცრემლებით სავსე თვალებით შეხედა დედას. დარიკომ აკოცა და დაშმვიდება დაუწყო, მაგრამ ამაოდ: იმისმა მოფერებამ ბოვშვს უფრო აუჩჩვილა გული. იგი ცრემლებს ველარ იკავებდა და დიდ ხანს, დიდხანს გულ ამოსკვნით სტიროდა.... მჭიდროდ ჩაებეჭდა სანდროს ნორჩ გონებაში დედის სიტყვები: „ჩვენც მოვკვდებით“-ო. ეს სიტყვები მოსვენებას არ აძლევდა საბრალო ბავშვს. მას აქეთ თითქმის ექვსმა წელიწადმა განვლო, მაგრამ ეს შემთხვევა სანდროს ისე ახსოვდა, თითქოს გუშინ მომხდარიყოსო. აი, ახლაც აგონდება სანდროს როგორც ეს, აგრეთვე მრავალი სხვაც, რაც დედის ცხოვრებას შეეხებოდა, აგონდება და სტირის მწარედ....

„დედავ, დედავ! რა მეშველება.“ წამოიძახა სასოწარკვეთილებით ბავშვმა და კუბოსაკენ გაიწია, მაგრამ უცებ შეჩერდა. იმისმა სახემ საშინელი გამომეტყველება მიიღო: თვალები გაუშტერდა, ტუჩებმა კანკალი დაუწყო. რა დაემართა სანდროს? რამ შეაშინა საბრალო ბავშვი? გაახსენდა, რომ დედა აღარ შეხვდებოდა ჩვეულებრივ გაშლილის ხელებით, აღარ მიიკრავს გულზედ თავისს საყვარელ სანდროს, აღარ გაუღიმებდა თავისის მშვენიერის ღიმილით...

ზზზუუ... ზზზუუ!.. დაიღრიალა ქარმა და ამ ღრიალთან ერთად ზარის მწუხარე, სამგლოვიარო ხმაც მოისმა. ამ საზარელმა ხმამ სანდრო დავიწყებიდგან გამოიყვანა; შეეხედა მამას, რომელიც დიდი ხანია თვალს არ აშორებდა სანდროს. მამამ ყველაფერი დაინახა: დაინახა, როგორ გაექანა იგი, სანდრო კუბოსაკენ, როგორ გამოეცვალა სახე, როგორ შეჩერდა შეშინებული.

— რამ შეგაშინა, სანდრო? ჰკითხა მამამ და ველარ დაათავა სიტყვა, რომ აქვითინდა სანდრო და გადაეხვია მამას. ეს გადახვევა არ ჰგავდა იმას, რომლითაც ეგებებოდა სანდრო მამას ყოველთვის, როცა ის სასწავლებლიდგან დაბრუნდებოდა ხოლმე, ან როდესაც სანდრო ასიამოვნებდა რითიმე. მაშინ იმათი გული სიხარულით იყო სავსე: იმ ჩაკონებით ისინი უზიარებდნენ ერთმანერთს სიხარულს და ბედნიერად სთვლიდნენ თავს. ეხლა-კი ამ გარდახვევამ თითქოს ორივეს მოსწყვიტა გული; უფრო აგრძნობინა ის საშინელი მწუხარება, რომელიც ორივეს უღრღნიდა გულს; ამ გადახვევით იმათ გაუზიარეს ერთმანერთს სიხარული-კი არა, გულ-მოსაკლავი მწუხარება...

ზარის ხმა უფრო გარკვევით მოისმა. აი, მივიდნენ კიდეც სასაფლაოზედ და დაასვენეს მიცვალებული.

— გადაჰხადეთ კუბოს! ნაღვლიანის სიმწარით წამოიძახა მამამ და დააშტერა თვალები მიცვალებულს. სიკვდილს ჯერ ვერ დაესვა მისთვის თავისი საზარელი ბეჭედი. მიცვალებული უზრუნველის ძილით დაძინებულსა ჰგავდა. შავი წარბები და წამწამები მკაფიოთ ძოსჩახდა იძისს მკრთალს პირის სახეზედ; ნათელი, ფართო შუბლი უმტკიცებდა, რომ მიცვალებული სიცოცხლის დროს არა ჩვეულებრივის ჭკუა-გონების პატრონი ყოფილა. ტუჩებზედ რაღაც უცნაური ღიმილი აღბეჭდოდა. ეს ღიმილი თითქოს ამბობდა: „რა გატირებთ, თქვე უგუნურებო, რას სწუხართ? არ იცით, რომ ყველას ამისთანა ბოლო მოგელით?“ ყველაფერი დაავიწყა საბრალო მამას. არაფერს აღარა ფიქრობდა; მთელი მისი არსება ცქერად გარდაიქცა. უმზერდა მიცვალებულს, უმზერდა და ვერა ძღებოდა. ჰსურდა საუკუნოდ ჩაჰბეჭდოდა გონებაში საყვარელის მეუღლის მშვენიერი სახე, მისი მშვენიერი შუბლი, წარბები, ცხვირი, ტუჩები. რამდენადაც მეტს უყურებდა ამ ძვირფასს სახეს, იმდენად მეტი ცქერა ჰსურდა...

— მიწა ხარ და მიწად იქეცი... სთქვა მღვდელმა მწუხარის ხმით და დააყარა მიწა მიცვალებულს.

მღვდლის სიტყვებმა გამოაღვიძეს საბრალო მამა.

— როგორ? მიწაა და მიწად იქცეს? ვინ? დარიკო? ჩემი ნუგეში! [illegible] ვით წამოიძახა მან, დასვა პატარა ბავშვი თოვლზედ და დაეყრდნო კუბოს. ძლივს ააყენეს საბრალო...

— მამა! დედასა სძინავს? დაიძახა პატარა ბავშვმა და პაწაწკინა თითი მიცვალებულისაკენ გაიწოდა.

— სძინავს, სძინავს! გაიმეორა მამამ ნაღვლიანად და აიყვანა ბავშვი: სძინავს, შვილო, საუკუნო ძილითა სძინავს.

ქარი უცებ ჩადგა თითქოს რაღაცამ შეაშინაო, და არე-მარეს საშინელი სიჩუმე მოეფინა.

— „საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი“, სამჯერ ნელის ხმით განიმეორა დიაკვანმა და ამ სიტყვებთან ერთად ქარმაც ხელ-ახლად დაუბერა, მოიტაცა ეს გულის-შემზარებელი სიტყვები, გააქანა შორს, შორს და მოჰფინა არე-მარეს.

— დედა! დედა! დე...დი...კო!

— დარიკო! ჩემო დარიკო! ერთხმად წამოიძახეს გულის სიღრმიდგან უნუგეშო მამა-შვილმა.

შეეხედა პატარა ბავშვმა მამასა და სანდროს, შეეშინდა და იმანაც ტირილი მორთო....

შ—ვ

ამერიკის ჯარის უფროსმა გენერალმა შაფტერმა დეპეშით აცნობა შეერთებულის შტატების მთავრობას, რომ ესპანელებმა 5 იანვარს 7,000 თოფი და 600,000 ტუტია გადმოგვცეს. სანტ-იაგო ესლა ჩვენს ხელშია. ესპანელები რომ უომრად არ დაგვთმობდნენ, სანტ-იაგოს ალება ძალიან გაგვიჭირდებოდა. სულ ცოტა 5,000 ჯარის კაცს მაინც დაკარგავდით. ბოლოს დროს ქალაქი ესპანელებმა ძალიან კარგად გაამაგრესო.

—

ავსტრია. თითქმის მთელი წელიწადია, რაც გრაფ ბადენის მიერ გამოტანილის ენების შესახებ განკარგულების გამო დიდი უთანხმოება ატუდა ნემენტებსა და ჩეხების შორის და დღემდის არაფერი ეშველა ამ უთანხმოების დაშოშმინებას. ამ ხნის განმავლობაში პარლამენტი უმოქმედოდ არის. ნემენტებისა და ჩეხების მორიგება და შეთანხმება შეუძლებელი გახდა. ვერც ერთმა სამინისტრომ ვერ მოახერხა ამ ორის ერის წარმომადგენელთა შერიგება და პარლამენტის მოქმედების აღდგენა. უკანასკნელის სამინისტრომ მინისტრს-პრეზიდენტმა გრაფმა ტუნმა ეს რამდენიმე თვე მხოლოდ დასებს შორის მოლაპარაკებას მოანდომა, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო. ნემენტთა დასმა, რომლის მეთაურებადაც შენერერი და კოლფეა, რამდენჯერმე გადაწერილ უპასუხა მინისტრ-პრეზიდენტს: კიდრე კნების შესახებ განკარგულება გაუქმებული არ იქმნება, ჩვენ არ შეგვიძლიან დაგუნარდეთო. გაზეთები სწერენ, რომ გრაფი ტუნიც მალე წინანდელ მინისტრ-პრეზიდენტების მაგალითს მიჰბაძავს და თანამდებობას თავს გაარებებსო.

—

ნაკვეთი

—

ორი ექიმი შეხვდნენ ერთმანეთს. ერთის ამოთვანს თავი დაუკრა ყმაწვილმა, ლამაზმა ქალმა და ჩაიარა.

— კინ იყო, ჰკითხა მეორემ: სწამლობდი?

— ჰო.

— რა სტკიოდა.

— მაგდენი არაფერი!.. ქარები ჰქონდა.

— მერე, რა წამალი ურჩიე.

— ფორტეპიანოს ნუღარ დაუკრაო მეთქი.

— არ მესმის, რა აქვს საერთო მაგ სენსა და ფორტეპიანოს.

— რა ბაკში ხარ, როგორ არა აქვს, რომ ის ქალი ჩემის სადგომის ზემოდ სართულში სცხოვრობს.

—

საგარეჯოს წიგნთ-საცავის 1897 წლის ანგარიში.

წარსულს წელს 13 ენკენისთვის შემდეგ წიგნთ-საცავმა მიიღო შემდეგი შემოწირულებანი *): ქ. ნადეჟდა აშანშიევისგან—რვა რუსული წიგნი და აკაკის „კრებული“ სრულის წლისა, კნ. ნინო ორბელიანისგან—ოთხი წიგნი, ივანე კუპუაშვილისგან—ოთხი წიგნი, მიხეილ მურვანიშვილისგან, ეკატერინე საკანელისგან—თითო წიგნი, არჩილ ავალოვისგან—ათი წიგნი, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისგან—გაზ. „Кавказское Сельское Хозяйство“. წიგნთ საცავის გამგეობა მადლობას უცხადებს ამათ.

პირველს იანვარს 1897 წელს წიგნთ-საცავის კასსაში იყო 109 მ., და 32 კ., რომელიც შემოვიდა საგარეჯოში გამართულ წარმოდგენებიდგან. დაიხარჯა: 61 წიგნი და მათი ყდა—30 მ. 88 კაპ., სახლის ქირა ნახევარის წლისა 10 მ.. „საქართველოს სურათებში“, ანუ ენციკლოპედიური ლექსიკონი როსტომაშვილისა, რომელიც ჯერ არ მიგვიღია,—5 მ. სხვა წვრილმანი ხარჯი—6 მ. 44 კ. დარჩა კასსაში პირველ იანვარს 1898 წელს 57 მ.

წარსულს წელს წიგნთ-საცავმა შეიძინა ყიდვით და შემოწირულობით 91 წიგნი ქართული და რუსული. პირველ იანვარს 1898 წ. წიგნთ-საცავში არის 680 ნომერი და 832 ცალი წიგნი.

საანგარიშო წლის განმავლობაში გატანილა წიგნები საკითხავად 1628 ჯერ. უფრო ხშირად მკითხველი მოდიოდა ზამთარში. მკითხველთა რიცხვი წოდებით არის გამორკვეული თვიურად. მაგალითად ავიღოთ თებერვალი. ამ თვეში ყოფილა 167 მკითხველი. მათ შორის: ადგილობრივნი მოსწავლენი—132, ნაშეგირდალნი—22, განათლებულნი—7, შინ ნასწავლნი—6, ნაშეგირდალთა შორის ურევია თითო-ოროლა მუშაკი გლეხი, ვაჭარი და ხელოსანი. ესენი შეადგენენ ერთად არა უმეტეს მეხუთედ ნაწილისა. დანარჩენნი ნაშეგირდალნი არიან ისევ მოზარდი ყმაწვილები.

რაც შეეხება მას, თუ რა შინაარსის წიგნებს უფრო კითხულობენ, ეს დამოკიდებულია თვით მეწიგნთ-საცავესაგან. ეძლევათ უფრო ხშირად საყმაწვილო წიგნები და სიტყვა-კაზმული ლიტერატურა.

საგარეჯოს წიგნთ საცავის გამგეობა მადლობას უცხადებს საგარეჯოს სკოლის ხელსაქმის მასწავლებელს თავადის ასულს ეკატერინე მაყაშვილს, რომელიც ცხრა თვის განმავლობაში 1896 და 1897 წელს უსასყიდლოდ და დიდად გულ-მოდგინედ ემსახურებოდა წიგნთ-საცავს.

წიგნთ-საცავის მზრუნველი ა. ი.

—

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი რუსულს ენაზედ „Адресная Книжка гор. Тифлиса“-ს ვ. ა. გერცენშტეინისა. წიგნში ჩამოთვლილია ტფილისის ქუჩების სახელები. ყველა ქუჩის სახლის პატრონები და მათის სახლების ნომრები. ბოლოში წიგნს ჩართული აქვს ზოგიერთის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულების ადრესი. ეს უკანასკნელი ნაწილი მეტად უსრულია: არ არის, მაგალითად, მოხსენებული ტფილისის გაზეთები [illegible] ადრესები. შეცდომებიც ბევრი უნდა იყოს წიგნში. მაგალითად, დაწესებულებათა შორის დასახელებულია „ოლქის სასამართლოს სააპელაციო განყოფილება“, ეს განყოფილება თითქმის მთელი წელიწადია, რაც განკერძოებით აღარ არსებობს. არის ოლქის სასამართლოს ორი სამოქალაქო განყოფილება—პირველი და მეორე. წიგნი პატარა ზომისაა, შეიცავს 220 გვერდს და ჰღირს 20 კაპეიკი.

—

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ივლისი

მადრიდი. კარლისტთა დასის მეთაური ესპანიიდგან მიდის.

ვაშინგტონი. იმ ჯარის რიცხვი, რომელსაც პორტო რიკოში გაჰგზავნიან გამოანგარიშებულია 40,000 კაცი. 5,000-მდე ჯარის-კაცი ნიუ-პორტიდგან წავა.

ლონდონი. დონ-კარლოსი მეუღლითურთ აქ მოვიდა.

ბუხარესტი. მეფე და ტახტის მემკვიდრე პეტერბურგში წავიდნენ. მეფესთან ახლა ვანსტრუდზა, გენერალი ვლადესკო და სხვანი.

მადრიდი. გრენადასა და ლაგარრიგიდგან იუწყებიან, რომ აქ არეულობა არისო. შეიარაღებული ბრბონი, რომელნიც ბანკო-ვალდ-რობრისში გაჩნდნენ, ჯერ არ შეუპყრიათო.

—

განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო

ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ასევე პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ, Дворцовая ул.

(42—5.—10)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქუჩების გაწმენდა-გასუფთავების საველდებულო დადგენილებათა მე-3 § ის შენიშვნის თანახმად **მიმოსვლა ღლისით** იმ ეტლებისა, რომელთაც ბოჭკებით უნდა წაიღონ და გადაჰყარონ ხოლმე ყოველგვარი უწმინდურება, აღკრძალულია შემდეგს ქუჩებზედ: გოლოვინსკისა, სადახლისა, მიხეილისა, ბარიათინსკისა, ერევნის მოედანსა, შუა-ბაზარსა და სიონის ქუჩაზედ მოედნამდის.

(3—ნ.—3)

სულით ავადმყოფთათვის განზრახულის თავშესაფარისათვის **საჭიროა** განცალკევებული **სახლი** ქალაქის განაპირად დიდის ეზოთი და თუ შეიძლება, ბაღითაც. ოთახების რიცხვი 12—15-ზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

მსურველნი უნდა მიჰმართონ ქალაქის გამგეობას. (3—ნ.—3).

მიიღება ხელის მოწერა რუსულ-ქართულ

ენციკლოპედიურ ლექსიკონზედ

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო სიტყვები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო **ანზე**, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და სიტყვა. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა **15** წიგნად, თითო **160—200** გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის მოწერითვის მარტო **12 მანეთი**, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შემოიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ; ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო **ბანზე** უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—104—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

უმთავრესი სადგურები	მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე		მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე	
	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.
ბათუმი	8.47	—	—	8.20	8 33	—	—	8.35
სამტრედია	5.31	5.46	11.21	11.36	4.50	5.05	12.05	12.20
უკირწყლა	3.37	3.47	1.22	1.32	2.48	2 58	2.16	2.26
ხაშური	12.41	12.56	4.38	5 00	11.47	12.02	5 26	5.41
გორი	11.23	11.32	6.06	6.18	10.23	10.33	6.45	6.55
ტფილისი	8.26	9.10	8.22	9 05	6.33	7.48	9.07	10.57
აქსტაფა	5.23	5.32	11.43	11.51	2.53	3.18	1.45	2.08
განჯა	2.23	2.37	2.35	2 55	11.39	11.54	5.18	5.40
უჯარა	10.43	10.53	6.08	6.20	7.39	7.49	9.14	9.24
ჯიქაბული	7.29	7.44	9.19	9.30	3.57	4.17	1.00	1 25
ბაქო	—	4.05	12.59	—	—	12.20	5.45	—

ზშენიშვნა: შავს ხაზებში მოქცეული საათი და წუთი დამესა ჭნიშნავს, უსაო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

რკინის გზის საგარეჯო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 59 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორე მცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის. ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

წვინდა ქინაქინა გოგირდ-მჟავე და მარილ-მჟავე

ყველას შეძლება ეძლევა შეიძინოს სახლისათვის საჭირო სამკურნალო წამალი მეტად იაფ ფასად პროვინციის ყველა დიდ ვაჭართან. მოსკოვის

რ. კელერისა და ა‌ხ.

თავმდებობით. სიყალბის თავიდგან ასაცდენად მსყიდველმა ყურადღება უნდა მიაქციოს ბანკაზედ მიკრულ ამხანაგობის იარლიკსა და გაუფუჭებელ მავთულიან ბადეს, რომელსაც დამლა ექნება ზედწარწერით: „რ. კ. და ამხ.“ (3—მ.—2)

*) წინად რაც შემოწირულებანი ყოფილა, გამოცხადებულია წარშანდელ „ცნობის ფურცელში“ № 311.

Дозволено цензурою, Тифлисъ 14 го Іюля. 1898 г. სტამბა შ. ძარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.